

დამტკიცებულია სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის
დირექტორის 2018 წლის 15 ივნისის №41 ბრძანებით
ცვლილება განხორციელდა დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის №48 ბრძანებით

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სსიპ მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

"ვიდეო-საოპერატორო ხელოვნება"



საგანმანათლებლო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. თბილისი, უზნაძის 68, ტელ: 2910259; 2910260; 577 409700

პროგრამის ხელმძღვანელი: სალომე ცხადაძე

თბილისი

2018 წ.

1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა: აუდიო-ვიზუალური ხელოვნება - Audio-visual Art

2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა: 02118-პ

3. პროფესიული სპეციალიზაცია და მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ვიდეო-საოპერატორო ხელოვნებაში;
Fifth level vocational qualification in Camera operating;

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაციები განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „აუდიო-ვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება“, კოდი: 0211.

4. მიზანი: პროგრამის მიზანია აღზარდოს კვალიფიციური ტელე-ოპერატორი, რომელსაც ეცოდინება როგორც ინტერიერსა და სტუდიაში მუშაობა ასევე გარე გადაღება.

5. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება

6. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

ვიდეო-საოპერატორო ხელოვნების პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ტელევიზიაში, სარეკლამო სტუდიებსა და რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციებში აუდიო-ვიზუალურ ოპერატორად,

პირს ასევე აქვს საშუალება დასაქმდეს თვითდასაქმების ფორმით. კარიერული ზრდის თვალსაზრისით, კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია შემდგომ საფეხურებზე აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მიმართულებით.

7. სტრუქტურა და მოდულები:

ვიდეო-საოპერატორო ხელოვნების პროგრამის პროფესიულმა სტუდენტმა ჯამურად უნდა დააგროვოს 120 კრედიტი: ზოგადი მოდულები 6 კრედიტი, საერთო პროფესიულ/დარგობრივ მოდულები 54 კრედიტი და პროფესიულ/დარგობრივი მოდულები 60 კრედიტი.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

8. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 120 კრედიტია

პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 150 კრედიტი (ქართული ენის მოდულები იხილეთ დანართი N37 და დანართი N38 სახით).

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 2 სასწავლო წელი; არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 2,5 სასწავლო წელი.

საერთო პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	რეჟისურის შესავალი კურსი		2
2	საოპერატორო ხელოვნების შესავალი კურსი		2
3	განათების შესავალი კურსი		2
4	ვიდეომონტაჟის შესავალი კურსი		2
5	წერის კულტურა		4
6	ინგლისური ენა - აუდიო-ვიზუალური ხელოვნება		6
7	კომპიუტერის ოპერაციული სისტემის გამოყენება		1
8	გაცნობითი პრაქტიკა – აუდიო-ვიზუალური ხელოვნება		1
9	რადიოსა და ტელევიზიის ისტორია		3
10	ხმისა და გამოსახულების გარდაქმნა ანალოგურ და ციფრულ ფორმატებში		1
11	დრამატურგიის პრაქტიკული კურსი		4
12	ეკრანული ნაწარმოების კომპონენტური ანალიზი		4
13	მუსიკა და ტელევიზია		4
14	ფოტოგრაფიის საფუძვლები		5
15	ვიზუალური ხელოვნების საფუძვლები		4
16	ტელე- რადიოწარმოების სპეციფიკა		2
17	ხმის ჩაწერა და მონტაჟი		5

18	საქართველოს თანამედროვე ისტორია	2
სულ		54

ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	მეწარმეობა 3		3
2	ინფორმაციული წიგნიერება 2		3
სულ			6

ვიდეო საოპერატორო ხელოვნების პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ვიდეოგადაღების ნაირსახეობები		5
2	საოპერატორო ხელოვნების საფუძვლები		5
3	განათების ხელსაწყოები და მოწყობილობები		2
4	განათება სატელევიზიო გარემოში	განათების ხელსაწყოები და მოწყობილობები;	2
5	გადაღება სპეცტექნიკის გამოყენებით	საოპერატორო ხელოვნების საფუძვლები, ვიდეოგადაღების ნაირსახეობები.	6
6	პროგრამა Adobe Premiere-ში მონტაჟი		3
7	სამგანზომილებიანი დიზაინის პროგრამული უზრუნველყოფა (Sketchup)		2
8	სატელევიზიო რეპორტაჟის მომზადება		4
9	ვიდეოოპერატორის ჟურნალისტური ნაშრომი	ვიდეო-გადაღების ნაირსახეობები; საოპერატორო ხელოვნების საფუძვლები; პროგრამა Adobe Premiere-ში მონტაჟი.	4

10	მრავალკამერიანი გადაღება	სისტემით	ვიდეო-გადაღების ნაირსახეობები; საოპერატორო ხელოვნების საფუძვლები; განათების ხელსაწყოები და მოწყობილობები; გადაღება სპეცტექნიკის გამოყენებით;	5
11	სატელევიზიო სერიალის გადაღება		ვიდეო-გადაღების ნაირსახეობები; საოპერატორო ხელოვნების საფუძვლები; განათების ხელსაწყოები და მოწყობილობები; გადაღება სპეცტექნიკის გამოყენებით;	6
12	სატელევიზიო პუბლიცისტური ნამუშევრების გადაღება		ვიდეო-გადაღების ნაირსახეობები; საოპერატორო ხელოვნების საფუძვლები; განათების ხელსაწყოები და მოწყობილობები; გადაღება სპეცტექნიკის გამოყენებით; პროგრამა Adobe Premiere-ში მონტაჟი;	6
13	ვიდეო-საოპერატორო ხელოვნების პრაქტიკული პროექტი		ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული საერთო პროფესიული/დარგობრივი მოდულები და ვიდეო-საოპერატორო ხელოვნების პროფესიული/დარგობრივი მოდულები	10
სულ				60

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა - სწავლის შედეგები:

სწავლის შედეგები ვიდეო-საოპერატორო ხელოვნების მიმართულებისათვის

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეარჩიოს აუდიოჩამწერი მოწყობილობები;
2. ჩაწეროს ხმა სწორად შერჩეული აუდიოჩამწერი მოწყობილობების საშუალებით;
3. გაასუფთაოს და დააბალანსოს ხმა პროგრამა Adobe Audition-ის გამოყენებით;
4. სწორად შეარჩიოს გადასაღები ტექნიკა და აქსესუარები;
5. ააგოს კადრი კომპოზიციის, კადრის სიღრმისა და მასშტაბის გათვალისწინებით;
6. გადაიღოს სპეცტექნიკის გამოყენებით;
7. დაამუშაოს მასალა ვიდეო-სამონტაჟო პროგრამა Adobe Premiere-ის გამოყენებით;
8. გადაიღოს ინტერიერში საჭირო განათების ხელსაწყოების გამოყენებით;
9. იმუშაოს რეჟისორთან მრავალკამერიანი სისტემით;
10. იმუშაოს გუნდში რეჟისორის, ჟურნალისტის, გამნათებლისა და მემონტაჟის მონაწილეობით.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

პროფესიული პროგრამა შემუშავებული სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსიპ მედიისა და ტელევიზიის საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ აუდიო-ვიზუალური ხელოვნების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- ბ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

პროფესიული პროგრამის დანართები:

- დანართი №1 - სასწავლო გეგმა
- დანართი №2 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი
- დანართი №3 - მეწარმეობა 3
- დანართი №4 - ინფორმაციული წიგნიერება 2
- დანართი №5 - რეჟისურის შესავალი კურსი
- დანართი №6 - საოპერატორო ხელოვნების შესავალი კურსი
- დანართი №7 - განათების შესავალი კურსი
- დანართი №8 - ვიდეომონტაჟის შესავალი კურსი
- დანართი №9 - წერის კულტურა
- დანართი №10 - ინგლისური ენა - აუდიო-ვიზუალური ხელოვნება
- დანართი №11 - კომპიუტერის ოპერაციული სისტემის გამოყენება
- დანართი №12 - გაცნობითი პრაქტიკა – აუდიო-ვიზუალური ხელოვნება
- დანართი №13 - რადიოსა და ტელევიზიის ისტორია
- დანართი №14 - ხმისა და გამოსახულების გარდაქმნა ანალოგურ და ციფრულ ფორმატებში
- დანართი №15 - დრამატურგიის პრაქტიკული კურსი
- დანართი №16 - ეკრანული ნაწარმოების კომპონენტური ანალიზი
- დანართი №17 - მუსიკა და ტელევიზია
- დანართი №18 - ფოტოგრაფიის საფუძვლები
- დანართი №19 - ვიზუალური ხელოვნების საფუძვლები
- დანართი №20 - ტელე- რადიოწარმოების სპეციფიკა
- დანართი №21 - ხმის ჩაწერა და მონტაჟი
- დანართი №22 -საქართველოს თანამედროვე ისტორია
- დანართი №23 - ვიდეოგადაღების ნაირსახეობები
- დანართი №24 - საოპერატორო ხელოვნების საფუძვლები
- დანართი №25 - განათების ხელსაწყოები და მოწყობილობები
- დანართი №26 - განათება სატელევიზიო გარემოში
- დანართი №27 - გადაღება სპეცტექნიკის გამოყენებით
- დანართი №28 - პროგრამა Adobe Premiere-ში მონტაჟი
- დანართი №29 - სამგანზომილებიანი დიზაინის პროგრამული უზრუნველყოფა (Sketchup)
- დანართი №30 - სატელევიზიო რეპორტაჟის მომზადება
- დანართი №31 - ვიდეოოპერატორის ჟურნალისტური ნაშრომი
- დანართი №32 - მრავალკამერიანი სისტემით გადაღება

დანართი №33 - სატელევიზიო სერიალის გადაღება

დანართი №34- სატელევიზიო პუბლიცისტური ნამუშევრების გადაღება

დანართი №35 - ვიდეო-საოპერატორო ხელოვნების პრაქტიკული პროექტი

დანართი №36 - მატერიელური რესურსი

დანართი №37 - ქართული ენა A2

დანართი №38 - ქართული ენა B1